

ენერჯის ლაგოვის რჩევები ადმინისტრაციული შენობებისათვის

ენერჯის დაზოგვა საკმაოდ მარტივია. საკმარისია გამორთოთ შუქი და სხვა ელექტრომოწყობილობები, რომლებიც არ გჭირდებათ, ნუ გაათბობთ ოთახებს ზომიერ მეტად და ზომიერად გაანიავეთ. ეს ძნელი არაა. თუმცა, ცოცხალი რთულია ყოველივე ამის გაკეთება ყოველდღიურად, ყოველი თვის განმავლობაში. ეს ნიშნავს ახალი ჩვევების შექმნას და ცვლილებებს ქცევაში. საჭიროა გარკვეული ძალისხმევა.



ენერჯოეფექტური ღონისძიებები შენობებისთვის ეს არის მიდგომები, რომელთა საშუალებით შენობის ენერჯომოხმარება შეიძლება შევამციროთ, კომფორტის ღონის შენარჩუნებით ან გაუმჯობესებით. ეს მიდგომებია:

- სათავსოს გათბობა-გაგრილების შემცირება
- ვენტილაციისთვის ენერჯო მოთხოვნილების შემცირება;
- განათებისთვის გამოყენებული ენერჯის შემცირება;
- წყლის გასაცხელებლად გამოყენებული ენერჯის შემცირება;

- საოფისე და საოჯახო მოწყობილობების ენერჯომოხმარების შემცირება;
- ეფექტური სამეურნეო და საკაღრო გადაწყვეტილებები.

ენერჯოდაზოგვის ეს რჩევები დაგეხმარებათ სამუშაო ადგილებზე ენერჯომოხმარების შემცირებაში.



ბათობა და გაბრილება

- გემპერაგურა შენობაში უნდა უზრუნველყოფდეს კომფორტის კარგ დონეს. გახსოვდეთ, რომ გემპერაგურის 1°C-ით დაწვეით, გათბობის ხარჯებს 6- 8%-ით შეამცირებთ;
- ბედმეგად ნუ გაათბობთ ან გააგრილებთ ოფისს;
- გაუკეთეთ ოფისს თბოიზოლიაცია, რათა უზრუნველყოთ გათბობისათვის ენერჯის ეფექტური მოხმარება;
- გათბობისას ფანჯრები და კარები დახურეთ. თუ ბედმეგად დაცხება, დაარეგულირეთ თერმოსტატი და რადიატორის ინდივიდუალური მართვა, ნაცვლად ფანჯრის გაღებისა და სითბოს დაკარგვისა;
- დახურეთ კარი და ფანჯარა, როცა ჩართულია კონდიციონერი;
- დარწმუნდით, რომ რადიატორები და გამათბობლები არაა დაფარული ავეჯით;
- ჟალუბების გამოყენებით მაფხულში სიცხისაგან დასაცავად, დაზოგავთ კონდიციონერის ხარჯებს;
- კარგ დღეებში გააღეთ ფანჯრები და

გამორთეთ კონდიციონერი;
 • დაუწიეთ გათბობას დერეფნებში, საწყობებში და ა.შ.

განათება

- არ დაგავიწყდეთ შუქის გამორთვა, როცა ოთახს გოვებთ. ნუ დაგოვებთ განათებას, თუ ოთახი ცარიელია 10 წუთზე დიდხანს;
- თუ ნათელი დღეა, დაფიქრდით, გჭირდებათ თუ არა განათება. გამოიყენეთ ღლის შუქი და შეამცირეთ განათების ხარჯები 10%-ით;
- გამოიყენეთ შუქდიოდური (LED) ნათურები, სადაც შესაძლებელია;
- დააყენეთ მოძრაობის სენსორები დერეფნებში, კიბის უჯრედებზე, საწყობებში და ა.შ. მოძრაობის სენსორი ანთებს შუქს, როდესაც ოთახში ვინმე შედის და ავტომატურად გამორთავს, როცა ოთახი ცარიელია.



საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა

კომპიუტერული ტექნიკა ელექტროენერჯის უდიდესი მომხმარებელია ადმინისტრაციულ შენობებში. ქვემოთ მოცემულია ენერჯის მოხმარების მაჩვენებლები ძირითადი მოწყობილობებისათვის:

მოწყობილობის ტიპი	საშუალო ენერჯომოხმარება მუშაობისას (ვტ/სთ)	ენერჯის მხარდაჭერა ვოლტდენის რაჟიმში (ვტ/სთ)
კომპიუტერის პერსონალი	74	6/36*
კომპიუტერის მონიტორი	100	4/7*
ჭაველური პრინტერი	17	9
ლაზერული პრინტერი	280	18
ასლგადამღები აპარატი	400	103

*მონაცემთა ორი ჯგუფი შეესაბამება “ღრმა ძილის” და “ძილის” რეჟიმებს

- დარწმუნდით, რომ ყველა კომპიუტერი და სხვა საოფისე მოწყობილობა გამორთულია დღის ბოლოს და დასვენების დღეებში, გარდა ქსელის გექნიკური მუშაკის კონკრეტული საწინააღმდეგო მოთხოვნისა;
- დარწმუნდით, რომ ენერჯის დაბოგვის ფუნქციები (დაბალი მოხმარების რეჟიმი) კომპიუტერებში, პრინტერებში და ასლგადამღებ აპარატებში ჩართულია. ეს შემცირებს ენერჯო მოხმარებას და სითბოს გამოყოფას. ეს ასევე შეამცირებს სათავსო გადახურების რისკს და გააუმჯობესებს კომფორტის დონეს;
- შეამცირეთ თქვენი კომპიუტერის ენერჯო მოხმარების ხარჯი 60%-ით, ღამით გამორთვით და 'ძილის' რეჟიმის ჩართვით დღის განმავლობაში;
- მოუარეთ ხელსაწყოებს და შეცვალეთ ძველები, სადაც შესაძლებელია
- გამორთეთ ქსელიდან მობილურის დამგენები, როცა არ ხმარობთ;
- გამორთეთ ოფისის და კომპიუტერული გექნიკა დასვენების დღეების წინ (განსაკუთრებით ხანგრძლივი დასვენების წინ);
- შეამცირეთ ინდივიდუალური პრინტერები და ასლგადამღები აპარატები და დაწერეთ ქსელური პრინტერები და ასლგადამღები აპარატები;
- ახალი მოწყობილობის შეძენის შემთხვევაში შეარჩიეთ ყველაზე ენერჯოეფექტური.

**იმოქმედეთ დაუყოვნებლივ!
გააკეთეთ ეს სამსახურში და
სახლში! დაგოგეთ ენერჯია
მოგაველი თარგობისათვის!**

UDENRIGSMINISTERIET
DANIDA | DANMARKS
UDVIKLINGSSAMARBEJDE



*პროექტი დაფინანსებულია
დანიის საგარეო საქმეთა
სამინისტროს და DANIDA-ს მიერ,
ადმინისტრირებულია NEFCO-ს
მიერ და განხორციელებულია
ALLPLAN-ის და ევც
საქართველოს მიერ*

ენერჯიის დაზოგვის რჩევები ადმინისტრაციული შენობებისათვის

